

სიორენ კირკეგორი

Søren Kierkegaard

შიში და თრთოლვა

Frygt og Bæven

გამომცემლობა „აქტი“

თბილისი – 2020

თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან
მთარგმნელი: **დიმიტრი უჩანევიშვილი**

გამომცემელი: **გიზო ცაცუა**
გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი

ვებ-გვერდი: akti.ge
© iBooks

ISBN 978-9941-8-2059-5

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა	4
შიში და თრთოლვა	
წინასიტყვაობა	7
შესავალი	13
I	15
II	17
III	18
IV	19
აბრაამის ქებათაქება	20
პრობლემა. წინასწარი აღმოთქმა	31
პრობლემა I: შესაძლებელია თუ არა ეთიკურის ტელეოლოგიური გაუქმება?	66
პრობლემა II: არსებობს თუ არა აბსოლუტური ვალდებულება ღმერთის წინაშე?	83
პრობლემა III: გამართლებულია თუ არა ეთიკურად აბრაამის მიერ სარას, ელეაზარისა და ისააკის	
წინაშე დუმილის შენარჩუნება განზრახვასთან მიმართებით?	101
ეპილოგი	146
შენიშვნები და განმარტებები	150
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები	169

მთარგმნელის წინასიტყვაობა

კირკეგორის ტრაქტატი „შიში და თრთოლვა“ (Frygt og Baeven) 1843 წელს გამოქვეყნდა იოჰანეს დე სილენციოს ფსევ-დონიმით. როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე კირკეგორის შემთხვევაში, წიგნი დაწერილია გამოგონილი ავტორის სახელით.

ნაშრომის ყურადღების ცენტრშია ღმერთის რწმენის საკითხი და მისი შესაძლებლობა თანამედროვე პირობებში. საკითხის განსახილველად კირკეგორი მისთვის დამახასიათებელი საფუძვლიანობით მიმართავს ძველი აღთქმის ლეგენდას აბრაამის მიერ ისააკის მსხვერპლად შეწირვის შესახებ.

ბიბლიიდანვე ნახესხები ტრაქტატის სახელიც. ეს სიტყვები ძველი აღთქმის ტექსტში სხვადასხვა ინტერპრეტაციით რამდენჯერმე გვხვდება. კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში ნათქვამია: „თქვენთან უძლურებაში, შიშა და სასტიკ ძრწოლაში“ (1 კორ. 2:3). „შიშით და ძრწოლით აღასრულეთ თქვენი ხსნის საქმე“ (ფილ. 2:12); „იმდენად საშინელი იყო ეს ხილვა, რომ მოსემაც თქვა: „ვძრწი და ვკანკალებ“ (ეპრ. 12:21).

კირკეგორს საგანგებოდ ამ ნაწარმოებისთვის შემოაქვს რწმენის რაინდის, რწმენის პარადოქსის, ტრაგიკული გმირისა და სხვა ცნებები.

ნაწარმოების ამოსავალი წერტილი ის არის, რომ ავტორი კანტის კვალდაკვალ აღიარებს: ეთიკური თვალსაზრისით შვილის მსხვერპლად შეწირვა უბრალო მკვლელობა იქნებოდა და მისთვის ასეთ შემთხვევაში დიდი ყურადღება არც უნდა დაგვეთმო, რადგან ასეთ შემთვევაში ის უბრალოდ „ტრაგიკული გმირი“ იქნებოდა.

მაგრამ აბრაამი არის ის, ვინც გადალახავს ეთიკურს. კირკეგორი ამბობს: „აბრაამის ისტორია ეთიკურის ასეთ ტელეოლოგიურ გაუქმებას გულისხმობს“, რაც რელიგიური ადამიანისთვის, ესთეტიკურის ან ეთიკურისგან გასხვავებით, შესაძლებელია.

რწმენა კი, თავის მხრივ, პარადოქსულია. „რწმენის პარადოქსი ასეთია: ინდივიდი ყოვლისმომცველზე მაღალია“; „პარადოქსი ასევე შესაძლოა გამოხატულ იქნას იმის თქმით, რომ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება ღმერთის წინაშე“, რომელთან შედარებით „ეთიკური დამოკიდებულება დაყვანილია შეფარდებით პოზიციაზე“. აბრაამი – „რწმენის რაინდია“, საპირისპიროდ „ტრაგიკული გმირისა“, რომელსაც „აბსურდის ძალით“ სწამს.

მაგრამ, იმავდროულად, მას არ სწამს, რომ ღმერთი გააუქმებს თავის მოთხოვნას, არც მომავალი ცხოვრების სწამს. ის მზად იყო შვილის მსხვერპლად შესანირად, მაგრამ „აბრაამს სახელდობრ ამ ცხოვრებისთვის სწამდა, რომ ის მოხუცდებოდა თავის მიწაზე, პატივცემული იქნებოდა თანამემამულების მიერ, კურთხეული თავის თაობაში, მარადის დაუვიწყარი ისააკში, თავის უძვირფასესში ამქვეყნად, ვისაც მან სიყვარული დააფრქვია“.

კირკეგორი ჰეგელსა და მის მიმდევრებთან პოლემიკასაც გვთავაზობს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ „შესაძლებელი იყო რწმენის გადალახვა“, როდესაც, კირკეგორის აზრით, „რწმენა ადამიანის უდიდესი ვნებაა. შესაძლოა ყველა თაობაში მრავალი იყოს ისეთი, ვინც არასოდეს მიდის მასთან, მაგრამ მას ვერავინ გასცდება“.

ასევე აღსანიშნავია ნაწარმოების საოცარი პოეტურობა, განსაკუთრებით კი აღწერა აბრაამის და ისააკის მგზავრობისა მორიას მთისკენ (იქნებ ამიტომაც მონათლა ავტორმა ნაწარმოების უანრი, როგორც „დიალექტიკური ლირიკა“?)

დიმიტრი უჩანევიშვილი

Was Tarquinius Superbus in seinem Garten mit den
Mohnköpfen sprach,
verstand der Sohn, aber nicht der Bote.¹

ჰამანი

წინასიტყვაობა

არა მხოლოდ საქმიან, არამედ იდეათა სამყაროშიც დაყიდვას ახორციელებს ჩვენი საუკუნე. ყველაფერი ისეთ ფასად უნდა იქნას შეძენილი, რომ ჩნდება კითხვა, თუ დარჩება საერთოდ საბოლოოდ მყიდველი. ყოველი სპეცულატური ფასადამდები, რომელიც კეთილსინდისიერად უწყობს ფეხს თანამედროვე ფილოსოფიის სვლას, ყოველი პრივატ-დოცენტი, პედაგოგი და სტუდენტი, ფილოსოფიის ყოველი სპეციალისტი – არც ერთი მათგანი არ არის კმაყოფილი დაეჭვებით და კიდ-

1. „ის, რაც ტარკვინიუს ამაყმა თავის ბალში ყაყაჩოთა თავების მეშვეობით თქვა, გაიგო მისმა ვაჟმა, მაგრამ არა მაცნემ“. – იბ. Hamann J.G. Werke. B.III. S.190. როდესაც რომის ერთ-ერთმა პირველმა მეფემ, ტარკვინიუს ამაყმა (დაახ. 534-510 ჩვ. წ.ა.), რომ გამოუცხადა გაბიას, მისი ვაჟი ფარულად გაემართა გაბისკენ, მოიტანა რა მიზეზად უთანხმოება მამასთან. გაბის მცხოვრებლებმა იგი თავის მხედართმთავრად დანიშნეს. ტარკვინიუსმა მიიღო შვილის მაცნე და ბალში სეირნობისას მის თვალწინ მოკვეთა ყაყაჩოთა ყველაზე მაღალი თავები. მაცნესთან შეხვედრის შემდეგ ტარკვინიუსის ვაჟმა სიკვდილით დასაჯა ან ქვეწიდან განდევნა მისი სამობლოს ყველა გავლენიანი მოქალაქე, მცირე ხნის შემდეგ კი გაბია ტარკვინიუსს ჩაბარდა. – მთარგმნ. შენიშვნა.

ევ უფრო შორს მიდის. შესაძლოა, უადგილოდ და არადროულად მოგვეჩვენოს მათთვის კითხვის დასმა იმის შესახებ, თუ საით მიემართებიან, მაგრამ თავაზიანობის ერთმნიშვნელოვანი გამოვლენა იქნება იმის ვარაუდი, რომ მათ ყველაფერში ეჭვი შეიტანეს, სხვაგვარად ხომ უცნაური იქნებოდა მათ მიერ გზის გაგრძელება. ვვარაუდობთ, რომ ასეთი წინასწარი ნაბიჯი ყველა მათგანმა გადადგა, ამასთან, იმდენად იოლად, რომ სულაც არ თვლიან საჭიროდ მის შესახებ რაიმეს თქმას; რადგან ისიც კი, ვინც შიშითა და ღრმა შეშტოთებით ცდილობდა მცირედი შუქის პოვნას მაინც, ვერაფერს ნახულობდა, გზის ვერანაირ მანიშნებელს, თუნდაც მცირედ აღწერილობას იმისა, თუ როგორ უნდა მიუდგე ესოდენ საფუძვლიან ამოცანას. „მაგრამ დეკარტემ შეძლო ეს“. დეკარტემ, ამ პატივცემულმა, მოკრძალებულმა და პატიოსანმა მოაზროვნემ, რომლის შრომებს ვერავინ გაეცნობა ღრმა ემოციის გარეშე, გააკეთა ის, რაც თქვა, და თქვა ის, რაც გააკეთა. სამწუხაროდ ეს დიდი იშვიათობაა ჩვენს დროში! დეკარტე, როგორც ეს მან არაერთხელ დაამტკიცა, არ ეჭვობდა რწმენის საკითხებში. „*Memores tamen, ut jam dictum est, huic lumini naturali tamdiu tantum esse credendum, quamdiu nihil contrarium a Deo ipso revelatur... Praeter caetera autem, memoriae nostrae pro summa regula est inveniendum, ea quae nobis a Deo revelata sunt, ut omnium certissima esse credenda; et quamvis forte lumen rationis, quam maxime clarum et evidens, aliud quid nobis suggestere videretur, sold tamen auctoritati divinae potius quam proprio nostro iudicio probandum esse adhibendam.*“² მას არ დაუყვირია: „ხანძარი!“ და არც დაეჭვება გაუხდია სხვათა ვალდებულებად; დეკარტე მარტოსული და მშვიდი მოაზროვნე იყო და არა ღამის მყვირალა დარავი. მან მოკრძალებულად აღიარა, რომ მის მეთოდს მნიშვნელობა მხოლოდ მისთვის ჰქონდა, თავს კი ახალგაზრდული წლების უსისტემო ცოდნით იმართლებდა. „*Ne quis igitur putet me hic traditurum aliquam methodum*

quam unusquisque sequi debeat ad recte regendum rationem; illam enim tantum quam ipsem et secutus sum exponere decrevi. ... Sed simul ac illud studiorum curriculum absolvi (sc. juventutis), quo decurso mos est in eruditorum numerum cooptari, plane aliud coepi cogitare. Tot enim me dubiis totque erroribus implicatum esse animadvertis, ut omnes descendendi conatus nihil aliud mihi profuisse judicarem, quam quod ignorantiam meam magis magisque detexisset.^{“3”} ის, რასაც ძველი ბერძნები, ვინც გვარიანად იყო გარკვეული ფილოსოფიაში, მთელი ცხოვრების ამოცანად განიხილავდნენ, ხედავდნენ რა, რომ დაეჭვების უნარის შეძენა დღეებისა და კვირების განმავლობაში ვერ მოხდებოდა, ის, რასაც გამოცდილმა მეომარმა მიაღწია, როდესაც მან ეჭვის წონასწორობა შეინარჩუნა ყველა პერიპეტიაში, ვინც უშიშრად უარყო გრძნობითი აღქმისა და გონების პროცესების უეჭველობა, და გამოწვევას ესროდა თვითსიყვარულის საფრთხესა და თანაგრძნობის ინსინუაციებს – ეს არის ადგილი, საიდანაც იწყებს ჩვენს დროში ყველა.

დღეს აღარავის სურს რწმენაზე შეჩერდეს და უფრო შორს მიდის. შესაძლოა, წინდაუხედაობა იყოს იმის კითხვა, თუ საით მიდიან ეს ადამიანები, მაგრამ ჩემ მიერ ეს ცალსახად კულტურისა და გამოცდილების გამოვლინება იქნება, თუ ვიტყვი, რომ რწმენა გააჩნია ყველას, სხვა შემთხვევაში უცნაური იქნებოდა... კვლავ განაგრძონ გზა. წარსულში ყველაფერი სხვაგვარად იყო, იმ დროს რწმენა მთელი ცხოვრების ამოცანა გახლდათ, რადგან მიაჩნდათ, რომ რწმენის უნარის მოპოვება რამდენიმე დღესა ან კვირაში არ ხდებოდა. როდესაც გამოცდილი მოხუცი თავის უკანასკნელ საათს უახლოვდებოდა, რომელმაც მედგრად იბრძოლა და დაიცვა თავისი რწმენა,⁴ მისი გული საკმარისად ახალგაზრდა იყოს იმისთვის, რომ არ დაევიწყებინა ის შიში და თრთოლვა, რაც ახალგაზრდობას ახასიათებს და რისი დამარცხებაც მამაკაცს შეუძლია, მაგრამ ვერც ერთი ადამიანი ვერ გადალახავს სრულად... გარდა

შემთხვევისა, როდესაც ის პირველივე შესაძლებლობისთანავე შორს მიდის. იქიდან, რასაც წარსულის ღირსეული ადამიანები აღწევდნენ, იწყებს დღეს ყველა, რათა გზა განაგრძოს.

ამ სტრიქონების ავტორი სრულებით არ არის ფილოსოფოსი, მან ვერ გაიგო სისტემა, მისთვის უცნობია, არსებობს კი ის საერთოდ და არის თუ არა დასრულებული; მისი სუსტი გონებისთვის უკვე თვით ეს აზრია საკმარისი, ხოლო ასეთი უილბლო გონება ყველას უნდა ჰქონდეს დღევანდელ დღეს, რადგან ყველას აქვს ასეთი უილბლო აზრები. თუნდაც, შეგვძლებოდა რწმენის მთელი შემადგენელი კონცეფციაში მოგვექცია, აქიდან სრულებით არ გამომდინარეობს, რომ ადეკვატურად აღვიქვამთ რწმენას და გვესმის, თუ როგორ შევდივართ რწმენაში ან როგორ შემოდის რწმენა ჩვენში. წინამდებარე სტრიქონების ავტორი სრულებით არ არის ფილოსოფოსი, ისაა *poetice et eleganter*, მოყვარული მწერალი, რომელიც არც აგებს სისტემას და არც რაიმე სისტემის დაპირებას იძლევა, რომელიც არც ხელს აწერს სისტემის ქვეშ და არც არაფერს მიაწერს მას. ის წერს, რადგან ეს მისთვის ფუფუნებაა, რაც იმდენად უფრო სასიამოვნო და ცხადი ხდება, რამდენადაც ნაკლები ადამიანი ყიდულობს და კითხულობს მის წიგნებს. მას იოლად შეუძლია საკუთარი ბედისწერის წინასწარმეტყველება ეპოქაში, როდესაც ვნება გამქრალია სწავლის სანაცვლოდ, ეპოქაში, რომელშიც მწერალს, თუკი მკითხველები სურს, უნდა იზრუნოს ისეთი წიგნების შექმნაზე, რომელთა წაკითხვა იოლად იქნება შესაძლებელი შეუდლის ძილის დროს, იზრუნოს საკუთარი გარეგნობის შეცვლაზე იმგვარად, რომ თავაზიან ახალგაზრდა მებაღეს დაემსგავსოს სარეკლამო განცხადებიდან, რომელსაც ერთ ხელში ქუდი უჭირავს, მეორეში კი სარეკომენდაციო წერილი უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, და საკუთარ თავს პატივცემულ პუბლიკას სთავაზობს. ის ჭვრეტს საკუთარ ბედს – ის სრულიად უგულვებელყოფილი იქნება. მას საზარელი მოვლენის წინათვარებისა აქვს, რომ ავგული კრიტიკა

არაერთხელ აგრძნობინებს სინორჩეს; ის თრთის კიდევ უფრო საზარელი აზრის წინაშე, რომ რომელიმე ფხიანი რედაქტორი, პარაგრაფთა შემდგენი, – რომელიც სწავლების სახსნელად ისე ექცევა სხვა ადამიანთა ნაშრომებს, როგორც ტროპი მოექცა „სათანადო გემოვნების შესანარჩუნებლად“ წიგნს სახელად „ადამიანთა მოდგმის განადგურება“⁵ – ავტორს პარაგრაფებად დაჰყოფს და ამას ისევე მოუქნელად გააკეთებს, როგორც ადამიანი, რომელმაც პუნქტუაციის მეცნიერების ინტერესებიდან გამომდინარე თავისი სიტყვა ისე დაანაწილა, რომ ორმოცდაათ სიტყვაზე ერთი წერტილი მოდიოდა, ხოლო ყოველ ოცდათხუთმეტ სიტყვაზე – ერთი წერტილ-მძიმე.

მე უღრმეს პატივისცემას განვიცდი საბაჟოს ყველა სისტემატური „მომნიშვნელის“ წინაშე, მაგრამ: „ეს არ არის სისტემა, ამას არაფერი აქვს საერთო სისტემასთან“. მე წყალობას შევთხოვ სისტემისა და დანიის ყველა მცხოვრებისთვის, ვინც იმავე ომნიბუსის⁶ მგზავრია, რადგან ჭეშმარიტ კოშკად⁷ ის არასოდეს იქცევა. თითოეულ მათგანს ვუსურვებ წარმატებასა და ბედნიერებას.

პატივისცემით,

იოპანეს დე სილენციო

შესავალი

კარგა ხნის წინათ ცხოვრობდა ადამიანი, რომელსაც ბავშვობაში გაგონილი ჰქონდა შესანიშნავი ამბავი იმისა, თუ როგორ ცდიდა ღმერთი აბრაამს, როგორ გაუძლო მან გამოცდას, როგორ შეინარჩუნა რწმენა, და მეორედ კვლავ შეეძინა ძე, სანინააღმდეგოდ თავისი მოლოდინისა. როდესაც ბავშვი წამოიზარდა, ის იმავე ამბავს კიდევ უფრო დიდი აღტაცებით კითხულობდა, რადგან ცხოვრებამ გამიჯნა ის, რაც ბავშვის ღვთისმოსავ უბრალოებაში იყო გაერთიანებული. რაც უფრო ემატებოდა ასაკი, მით უფრო ხშირად უბრუნდებოდა მისი გონება ამ ამბავს, მისი ენთუზიაზმი სულ უფრო მეტად ენთებოდა, და მაინც, სულ უფრო ნაკლებად ესმოდა ეს ამბავი. საბოლოოდ ამ ამბის ინტერესიდან გამომდინარე სხვა ყველაფერი დაავინყდა; ერთადერთი რამ სურდა მის სულს, – ეხილა აბრაამი, ერთადერთი მისწრაფება, – ყოფილიყო ამ ამბის მოწმე. მას არ სურდა აღმოსავლეთის უმშვენიერესი ქვეყნების დათვალიერება, არც აღთქმული მიწის ამქვეყნიური დიდების ხილვა, ან იმ ღვთისმოშიში წყვილისა, რომელთა სიბერე ღმერთმა დალოცა, ან ღვაპლმოსილი პატრიარქის საპატიო ფიგურის, ან ისააკის ენერგიულობისა და გამბედაობის, ვინც ღმერთმა აბრაამს უძღვნა – მისთვის აუხსნელი იყო მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლებოდა, რომ მსგავსი რამ დანის უნაყოფო უდაბნოში მომხდარიყო. მას სურდა მათი თანამგზავრი ყოფილიყო სამდლიან მოგზაურობაში, როდესაც დამწუხრებული

აბრაამი მის წინ მიდიოდა, გვერდით კი ისააკი მიყვებოდა. მისი ერთადერთი სურვილი იმაში მდგომარეობდა, რომ იქ ყოფილიყო, როდესაც აბრაამმა თვალები ზეანია და შორს მორიას მთა დაინახა, როდესაც სახედრები დატოვა და ისააკთან ერთად გაემართა მთისკენ; რადგან მის გონებას არა გენიალური წარმოსახვა ამოძრავებდა, არამედ აზრის თრთოლვა.

ეს ადამინი არ იყო მოაზროვნე, მას არ სჭირდებოდა რწმენის საზღვრების დატოვება; ყველაზე დიდებული მისთვის რწმენის პატრიარქობა იყო, ეს კი მას შურის საბაბად წარმოუდგებოდა, თუნდაც ეს არავისთვის ყოფილიყო ცნობილი.

ეს ადამიანი არ იყო სწავლული ეგზეგეტიკოსი, მან არ იცოდა ივრითი; მას რომ ივრითი სცოდნოდა, შესაძლოა ადვილად გაეგო ამბავიც და აბრაამიც.

I

„გამოსცადა აბრაამი ღმერთმა და უთხრა: აბრაამ! მიუგო: აქა ვარ! უთხრა: მოჰკიდე ხელი შენს შვილს, შენს მხოლოდშობილს, რომელიც გიყვარს, ისააკს, და წადი მორიას მხარეში. იქ შესწირე აღსავლენ მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც გიჩვენებ“.⁸

ადრიანი დილა იყო, აბრაამმა სახედრები შეკაზმა, გამოვიდა თავისი კარვიდან ისააკთან ერთად. სარა უყურებდა ფანჯრიდან, სანამ თვალს არ მიეფარნენ და ველარ დაინახა. სამი დღე იარეს მდუმარედ. მეოთხე დილას აბრაამმა, სიტყვა რომ არ უთქვამს, ისე, თვალები ზეანია და მორიას მთა იხილა. მან მსახურებს დარჩენა უბრძანა და ისააკთან ერთად გაემართა მთისკენ. აბრაამმა უთხრა საკუთარ თავს: „მე არ დავუმაღლავ ისააკს იმას, თუ სად მიიყვანს ეს გზა.“ ის შეჩერდა, ხელი დაადო ისააკს თავზე კურთხევის ნიშნად, ისააკმა კი მუხლი მოიყარა კურთხევის მისაღებად. აბრაამს მამობრივი გამომეტყველება ჰქონდა, მისი მზერა იყო კეთილმოსურნე, სიტყვა კი გამამხნევებელი. მაგრამ ისააკს არ ესმოდა მისი, მისი სული ვერ ამაღლდა; ის მუხლებზე მოეხვია აბრაამს, ვეღრებით დაემხო მის ფერხთა ქვეშ, თავისი ახალგაზრდა სიცოცხლის შენარჩუნებას თხოვდა, მისი სამომავლო იმედებისა, იხსენებდა სიხარულს აბრაამის სახლში, იხსენებდა მარტოობასა და ნაღველს. აბრაამმა წამოაყენა ბიჭი, გვერდიგვერდ მიდიოდნენ, მისი საუბარი კი ნუგემითა და თანაგრძნობით იყო გამსჭვალული. ის მორიას მთაზე ავიდა, მაგრამ ისააკს არ ესმოდა მისი. შემდეგ მან წამით ზურგი აქცია ისააკს, ხოლო როცა კვლავ შემობრუნდა, აბრაამს სახე შეცვლოდა, მისი მზერა ველური მხეცისას ჰგავდა, გამომეტყველება კი საზარელი ჰქონ-